

პარი III სასამართლოების დაფინანსება

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება მიმართულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეალური მდგომარეობის ანალიზისა და ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით, სასამართლოს მიმდინარე აუცილებელი ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე თანამშრომელთა მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად, სასამართლოს საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სხვა ძირითადი საშუალებებით უზრუნველსაყოფად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებანი შეადგენს 5300,0 ათას ლარს. შრომის ანაზღაურებაში გაიხარჯა 3587.76 ათასი ლარი, რაც მოიცავს: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა და აპარატის მოხელეთა თანამდებობრივ ხარჯებს. დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გაიცა ორგანიზაციის მუშაკებზე პრემიები და კანონმდებლობით დადგენილი დანამატი.

2012 წლის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების საკასო ხარჯებმა შეადგინა 1344.89 ათასი ლარი, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენს 82.78 ათას ლარს, თანამშრომელთა მივლინების საკასო ხარჯმა შეადგინა 123.75 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებმა – 693.85 ათასი ლარი, წარმომადგენლობითმა ხარჯმა – 59.08 ათასი ლარი, სამედიცინო ხარჯებმა – 3.98 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯებმა შეადგინა 10.03 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯმა შეადგინა 302.34 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯებმა – 69.07 ათასი ლარი.

აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის მუხლში საკასო ხარჯმა შეადგინა 39.96 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლში – 34.64 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლში საკასო ხარჯმა შეადგინა – 233.32 ათასი ლარი.

უზენაესი სასამართლოს საქმიანობისათვის გამოყოფილი ასიგნებები მიმართულ იქნა სასამართლოს საფოსტო (მარკა, კონვერტი, გზავნილები) ხარჯების, კომუნალური მომსახურების (გათბობის მიზნით საწვავის, ელექტროენერგია, წყალი, დასუფთავება, ინტერნეტი) და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად; შეძენილ იქნა სხვადასხვა ფორმები (ბლანკები, სარეგისტრაციო ფურნალები), ტექნიკის სახარჯი მასალები, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი. სასამართლოს შენობას ჩაუტარდა სამღებრო-სარემონტო სამუშაოები. უზენაესი სასამართლოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯი და ინვენტარი.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფაქტობრივი დაფინანსება
საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან
FACTUAL FINANCING OF THE SUPREME COURT OF GEORGIA FROM THE STATE
BUDGET OF 2011**

**მიმდინარე წლის ხარჯი
Current Expense**

თანხა ლარებში Amount in GEL

ხარჯის კოდი Code of expense	ხარჯების დასახელება Name of expense	დაზუსტებული გეგმა Accurate plan	საკასო ხარჯი Cash expense	შესრულება % of execution
	საერთო ხარჯები General expenses	5 300 000	5 272 169.15	99.87
21	შრომის ანაზღაურება Salaries	3 804 000	3 803 832.69	99.996
22	საქონელი და მომსახურება Goods and Services	1 239 500	1 234 859.21	99.63
27	სოციალური უზრუნველყოფა Social guarantees	65 000	63 000.38	96.92
28	სხვა ხარჯები Other expenses	53 000	32 165.01	60.69
31	არაფინანსური აქტივები Non-financial assets	138 500	138 311.86	99.86

2. საერთო სასამართლოების დაფინანსება

საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებები გაწერილი იყო ბიუჯეტის შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

1. სასამართლო სისტემა
2. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: სასამართლო სისტემა

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება: დატვირთულობის მიხედვით დაუწესდათ ყოველთვიური დანამატები თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს, მოადგილეებს, კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარეებს, მოსამართლეებს, თბილისის საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეს, კოლეგიის თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს, გაერთიანებული სასამართლოს თავმჯდომარეებს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეებს. შრომის ანაზრაურების მუღში არსებული ეკონომიის ფარგლებში განხორციელდა მოსამართლეთათვის დანამატების, ხოლო სასამართლოს აპარატის თანამშრომლებზე პრემიების გაცემა. განხორციელდა მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევა. მოსამართლეებს, რომლებსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არ ქონდათ საცხოვრებელი ბინა, გამოეყოთ საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის საჭირო ხარჯები.

საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა: დასრულდა მესტიის რაიონული სასამართლოს მშენებლობა. დაიწყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის შენობის სამშენებლო სამუშაოები. განხორციელდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ფასადის კაპიტალური რემონტი, თბილისის სააპელაციო და საქალაქოს, ბოლნისის რაიონულ სასამართლოების კაპიტალური რემონტი. დაიწყო მართლმსაჯულების სახლის მშენებლობა. ხონის რაიონულ და აბაშის მაგისტრატი სასამართლოების შენობის სახურავებს ჩაუტარდათ კაპიტალური რემონტი. 37 სასამართლო შენობას ჩაუტარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები: თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის და ბათუმის საქალაქო,

ახალქალაქის, ახალციხის, ზუგდიდის, გორის, ზესტაფონის, სენაკის, ოზურგეთის, ბოლნისის, თელავის, სიღნაღის, ხელვაჩაურის და ცაგერის რაიონულ, ადიგენის, ნინოწმინდის, გარდაბნის, ქობულეთის, მარნეულის, ვანის, ტყიბულის, ბაღდათის, ლენტეხის, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, წალენჯიხის, ქარელის, საგარეჯოს, დედოფილსწყაროს, წყალტუბოსა და ონის მაგისტრატ სასამართლოებს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოეწყო ნაფიცი მსაჯულების დარბაზი.

საერთო სასამართლოები უზრუნველყოფილ იქნა ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით.

სასამართლო სისტემაში საქმისწარმოების ხარისხის ამაღლება და სრულყოფა: გაგრძელდა მუშაობა საქმისწარმოების პროგრამის დანერგვაზე საერთო სასამართლოებში. დამატებით პროგრამა ამოქმედდა 8 რაიონულ სასამართლოში (გურჯაანის, სიღნაღის, სამტრედიის, საჩხერე, თეთრიწყარო, ამბროლაურის, ცაგეროს და ახალქალაქის რაიონული სასამართლოები). დაიწყო მუშაობა საქმისწარმოების პროგრამაში ახალი სისხლის სამართლის ნაწილის დამატებისათვის. ჩატარდა 30 ტრენინგი 300 ბენეფიციარისთვის.

სასამართლო ხელისუფლების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების გაუმჯობესება: სასამართლო სისტემის რეფორმისა და სასამართლო სისტემაში მიმდინარე სხვადასხვა სიახლეების გაშუქების მიზნით განხორციელდა საგაზეთო სტატიების მომზადება. რადიო მაუწყებლის საშუალებით მოხდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება. განხორციელდა მართლმსაჯულების მთავარი პრინციპის - შეჯიბრებითობის თემაზე სარეკლამო ვიდეორგოლის დამზადება და ტელე-რადიო სამაუწყებლო ეთერში განთავსება.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

2.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება 09 02

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსამართლედ გასამწესებელი პირების – იუსტიციის მსმენელების ოთხი ჯგუფის მომზადება, აქედან ორმა ჯგუფმა დაასრულა სწავლება და წარმატებული კურსდამთავრებულები გამწესდნენ მოსამართლის თანამდებობებზე. ასევე, რეგულარულად მიმდინარეობდა მოსამართლეების, მოსამართლის თანამშრომლებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

საერთო სასამართლოების დაფინანსება საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან

FINANCING OF COMMON COURT FROM THE STATE BUDGET OF GEORGIA OF 2012

თანხა ათას ლარებში Amount in thousand GEL

ხარჯების დასახელება	დაზუსტებული გეგმა Accurate plan	საკასო ხარჯი Cash expenses	შესრულება % Execution	Name of expenses
საერთო სასამართლოები	36513.3	35852.2046	98.2	Common court
ხარჯები	29,567.5	28,984.8	98.0	Expenses
შრომის ანაზღაურება	20,979.5	20,965.6	99.9	Salaries
საქონელი და მომსახურება	7,955.0	7,437.5	93.5	Goods and service
გრანტები	0.8	0.8	100.0	Grants
სოციალური უზრუნველყოფა	263.0	236.4	89.9	Social guarantees
სხვა ხარჯები	369.3	344.5	93.3	Other expenses
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,945.0	6,866.6	98.9	Increase of non-financial assets
ვალდებულებების კლება	0.77	0.77	100.0	Decrease of responsibilities

